

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

დავით ძაძამია

ვარციხე ჰეს-ის ჰიდროენერგოაგრეგატების ვიბროაკუსტიკური
მონიტორინგისა და ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკის სისტემის
დამუშავება და დანერგვა

ინჟინერიის (0405) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფესორი: ნომრევან კოპალიანი

ქუთაისი 2017

სარჩევი

შესავალი

თავი 1. ენერგეტიკული მანქანების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ამოცანათა დასმა და ზოგადი მიმოხილვა

1.1. მანქანა-დანადგარების ტექნიკური დიაგნოსტიკა.....10

1.2. ენერგეტიკული დანადგარების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკა.....12

1.3. მანქანათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის განვითარების ეტაპები.....16

1.4. ენერგეტიკული მანქანების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური მონიტორინგის სხვადასხვა სისტემების განხილვა19

1.4.1. მონიტორინგისა და კონტროლის მარტივი სისტემების დანიშნულება.....19

1.4.2. მარტივი გადასატანი ვიბრომონიტორინგის სისტემების დანიშნულება.....19

1.4.3. მონიტორინგის მარტივი სტაციონალური სისტემები.....21

1.4.4. მანქანა-დანადგარების ღრმა დიაგნოსტიკის სისტემების დანიშნულება.....21

თავი 2. ჰიდროენერგატორების ელექტრომექანიკური სისტემის დინამიკის თეორიული კვლევა

2.1. ჰიდრო ენერგოაგრეგატების დინამიკის განტოლება.....23

2.2. ჰიდროენერგოაგრეგატების ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ამოცანის დასმა და გადაწყვეტა.....25

2.3. ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკური მდგომარეობის ამოცნობის ალგორითმის აღწერა.....28

2.4. ენერგეტიკული მანქანების ტექნიკურ მდგომარეობათა ცვლილებების ტრენდისა და პროგნოზის განსაზღვრის მეთოდი ტექნიკური დიაგნოსტიკის ამოცანებში.....30

2.5. მაღალსიხშირული ვიბრაციული სიგნალის შემომვლელის სპექტრალური ანალიზის გამოყენება ჰიდროენერგოაგრეგატების სრიალის საკისრების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკისათვის.....36

2.6. ჰიდრო ენერგოაგრეგატების ეტალონური ვიბროაკუსტიკური მახასიათებლები ექსპლუატაციის პროცესში და მათი ანალიზი.....44

თავი 3. MathCad-ის შესაძლებლობების გამოყენება ვიბროაკუსტიკურ დიაგნოსტიკაში	
3.1. სიგნალების დამუშავება MathCad-ის სისტემაში.....	46
3.2. ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობათა ამოცანის რეალიზაცია MathCad - ის სისტემაში.....	54
3.3. ვიბროაკუსტიკური სიგნალების ციფრული ზოლური ფილტრაციის ერთი მეთოდის შესახებ.....	58
თავი 4 ვარციხე ჰეს-ის ჰიდროენერგოაგრეგატების ვიბრაციული მახასიათებლების ექსპერიმენტული კვლევა	
4.1. გაზომვის მეთოდოლოგია და მიღებული ვიბრაციული სიგნალის ანალიზი.....	62
4.2. ვარციხე ჰეს-ის აგრეგატის ვიბროაკუსტიკური მონიტორინგის პროგრამა.....	77
4.3. ვარციხე ჰეს-ის აგრეგატის გაზომვისა და დიაგნოსტიკის შედეგები.....	86
4.4. ვარციხე ჰეს-ის ჰიდრო ენერგოაგრეგატის აკუსტიკური მახასიათებლების ექსპერიმენტული კვლევა ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკის მიზნით.....	90
4.5. რიონჰესის მესამე აგრეგატის ვიბრაციული მახასიათებლების ექსპერიმენტული კვლევა.....	96
დასკვნები	104
გამოყენებული ლიტერატურა.....	106

შესავალი

XXI საუკუნე ხასიათდება ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების ბევრად უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე ეს იყო წინა საუკუნეში. ტექნიკური მოწყობილობები მნიშვნელოვნად გართულდნენ და მიმდინარეობს მათი ინტელექტუალიზაცია, ანუ ისინი იძენენ ხელოვნური ინტელექტის ელემენტებს, პირველ რიგში მართვის პროცესში. თანამედროვე მანქანები, გემები, ავიაშვიდები, ნავთობმომპოვებელი პლატფორმები, ელექტროსადგურები და სხვადასხვა სახის დანადგარები გადატვირთული არიან უამრავი, ურთულესი მექანიზმებითა და მოწყობილობებით. მათი წარმატებული მომსახურება კი რთული ამოცანა გახდა.

საიანო-შუმენსკაიას ჰიდროელექტროსადგურზე მომხდარმა ტრაგიკულმა ავარიამ (17.08.2009 წელი, მსხვერპლი - 75 ადამიანი, მიზეზი - ჰიდროაგრეგატის ტურბინის სახურავის რღვევა მომატებული ვიბრაციების გამო რხევების სიხშირის ცვლილებით) მნიშვნელოვნად გაამწვავა და წინა პლანზე წამოწია ჰიდროელექტროსადგურების საიმედოობისა და უსაფრთხოების საკითხები [43].

საიანო-შუმენსკაიას ჰიდროელექტროსადგურს გააჩნდა სამი უსაფრთხოების დაცვითი სისტემა, მაგრამ საწუხაროდ არც ერთმა მათგანმა არ გაამართლა და არ იმუშავა. ამას დაემატა მომსახურე პერსონალის დაუდევრობაც [36].

საქართველოში არცერთ ჰიდროელექტროსადგურში არ არის დანერგილი თანამედროვე მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის სისტემები. ვიბრაციების გაზომვები და გაზომვის შედეგად მიღებული ვიბროაკუსტიკური სიგნალის ანალიზი არ წარმოებს არცერთ ჰიდროენერგოაგრეგატზე, მაშინ როდესაც ინტერესი ჰიდროენერგეტიკის განვითარებისადმი ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში ძალიან დიდია.

უცხოეთის ფინანსურად ძლიერი კომპანიები იძენენ დიაგნოსტიკისათვის გამზადებულ სისტემებს და საშუალებებს, მაგრამ ჯერ ერთი, მათი ფასი საკმაოდ ძვირია და მეორე - ხშირად ბოლომდე გაუგებარი არის როგორ ხდება დიაგნოსტიკის პროცესი, კერძოდ, თუ რას ზომავენ, როგორ და რას ადარებენ გაზომილ სიდიდეებს. ასე ვთქვათ, მომხმარებლებისთვის უხილავი და უცნობი რჩება ვიბრომონიტორინგისა და დიაგნოსტიკის პროცედურები.

გარდა სახიფათო და მავნე ზემოქმედებისა ადამიანებსა და ტექნიკურ ობიექტებზე (განსაკუთრებით მაღალი დონეების შემთხვევებში), ვიბრაციები და ვიბროაკუსტიკური სიგნალები ზოგადად არიან ინფორმაციის მატარებელი მანქანების ტექნიკურ მდგომარეობათა შესახებ [34]. შესაბამისი დამუშავებისას ეს სიგნალები შესაძლებელია წარმატებით იქნან გამოყენებული მანქანის ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკისა და პროგნოზირებისათვის. ჰიდროელექტროსადგურების ენერგოაგრეგატებში მიმდინარე ფიზიკური პროცესები რთული პროცესებია და ისინი არ არიან ბოლომდე შესწავლილი. კერძოდ, დინამიური პროცესები და საერთოდ ჰიდროენერგოაგრეგატების დინამიკა ნაკლებად შესწავლილი დარგია. ლიტერატურაში მცირეა იმ ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც ეძღვნება ჰიდროენერგოაგრეგატების დინამიურ ქცევას. მოცემული თემა სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება, კერძოდ ჰიდროენერგოაგრეგატების ვიბროაკუსტიკური მონიტორინგისა და ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკის საკითხებს .

თემის აქტუალობა. საქართველოში მრავალი საშუალო, დიდი და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურია. დღევანდელი მდგომარეობით არცერთ მათგანზე არ არსებობს საიმედო კონტროლის სისტემები, კერძოდ, ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის თანამედროვე სისტემები (უკეთეს შემთხვევაში წარმოებს მხოლოდ ტემპერატურის კონტროლი, რაც საკმარისი არ არის). საიმედოობის და უსაფრთხოების საკითხები კი არის მინდობილი მხოლოდ გამოცდილი ინჟინრების ინტუიციაზე. ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის სისტემების დანერგვა საშუალებას მოგვცემს ვაკონტროლოთ ჰიდრო-ენერგოაგრეგატებში მიმდინარე ნებისმიერი პროცესი და ნებისმიერი გაუმართაობა გამომავლინოთ დეფექტის ჩასახვის პირველივე ეტაპიდან.

ამოცანის ფორმულირება. ვიბრაციული მონიტორინგი არის მექანიკური სისტემის ვიბრაციულ მდგომარეობათა ცვლილებების მეთვალყურეობა და ამ ცვლილებების მიზეზების ანალიზი. ვიბროაკუსტიკური კონტროლის პრობლემის აქტუალობა და მისი პრაქტიკაში დანერგვა გამოიწვია მანქანის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ოპერატიული კონტროლის არსებობის აუცილებლობამ. ტექნიკის სხვადასხვა დარგში დღეს არსებული კონტროლის საშუალებებით დანადგარის ტექნიკური მდგომარეობის

შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მისი შინაგანი დათვალიერების გზით, ანუ აუცილებელი ხდება მისი მუშა რეჟიმიდან გამოყვანა, ან ნაწილობრივი და თუ საკმარისი არ არის, მისი სრული დაშლა, რაც დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სწორედ ის, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია მანქანის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი მიმდინარეობდეს მისი დაშლის გარეშეც მუშა რეჟიმში. ისეთი გავრცელებული მეთოდები, როგორცაა ტემპერატურის კონტროლი, შეზეთვის ხარისხი და სხვა საჭირო აღარ არის - მათ ცვლის ვიბრაციის ანალიზი. ვიბრაციული დიაგნოსტიკა არის სადიაგნოსტიკო ელექტრომექანიკური სისტემის დეფექტების აღმოჩენა და იდენტიფიცირება (დეფექტის სახისა და სიდიდის განსაზღვრით).

კვლევის მიზანი. სადისერტაციო სამუშაოს მიზანი არის ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების დამუშავება და ვიბროაკუსტიკური მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის მაღალეფექტური მეთოდების შექმნა ისეთ უნივერსალურ მათემატიკურ პროგრამაში, როგორც არის MathCad-ი, რომელიც უზრუნველყოფს საიმედოობის მაღალ დონეს ენერგეტიკული დანადგარების თანამედროვე განვითარების ტენდენციების შესაბამისად.

კვლევის ამოცანები. მოცემული მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. მსოფლიოს წამყვანი ფირმების კვლევების საფუძველზე ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის დარგში მეთოდებისა და საშუალებების სისტემატიზაცია, აგრეთვე მათი ხარისხის ამაღლების გზების და მეთოდოლოგიური მიდგომების დამუშავება ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკური დიაგნოსტიკის სისტემების დამუშავებისას.

2. ტექნიკური დიაგნოსტიკის ავტომატიზირებული სისტემის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შექმნა ჰიდროენერგოაგრეგატებისათვის ვიბრაციული პროცესების მონიტორინგის ბაზაზე.

3. თეორიული მოდელების დამუშავება, რომლებიც აკავშირებს ჰიდრო-ენერგოაგრეგატების ვიბრაციის ელემენტების სპექტრალურ მახასიათებლებს მის კონსტრუქციულ პარამეტრებთან და მათი ცვლის პარამეტრებთან და იძლევიან შესაძლებლობას განისაზღვროს ტექნიკური მდგომარეობები მოცემული უტყუარობით.

მათემატიკური მოდელირების და რეალური ექსპერიმენტების საფუძველზე შევარჩიოთ და დავასაბუთოთ დიაგნოსტიკური ნიშნები და ნიშანთა სივრცეები, რომლებიც ახასიათებენ ჰიდროენერგოაგრეგატებს.

4. ფუნქციონალური (ანალიტიკური და სტატისტიკური) დამოკიდებულებების პოვნა-განსაზღვრა ვიბროაკუსტიკურ სიგნალებსა და ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობათა შორის.

5. ჰიდროენერგოაგრეგატების დიაგნოსტიკის მეთოდოლოგიის დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ვიბრაციული კონტროლის შედეგების უტყუარობას და იძლევა შესაძლებლობას გამოყენებული იქნან ექსპლუატაციის რეალურ პირობებში.

კვლევების მეთოდები. დასმული ამოცანების ამოხსნისას გამოყენებული იქნა დებულებები მანქანათა და მექანიზმების თეორიის, მანქანათა დინამიკის, სახეთა ამოცნობის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკიდან. ექსპერიმენტულ კვლევებში გამოყენებული იქნა თანამედროვე ვიწროზოლიანი, ოქტავური და ტერც-ოქტავური სპექტრალური ანალიზის მეთოდები (SpectraLab-ი, MathCad-ი) ექსპერიმენტული მონაცემების მათემატიკური დამუშავება MathCad-ში.

დიაგნოსტიკის ალგორითმების დამუშავებისას გამოიყენებოდა გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის და სახეთა ამოცნობის თეორიის მეთოდები.

დაცვაზე გამოტანილი დებულებები:

1. ჰიდროენერგოაგრეგატების ვიბროაკუსტიკური მონიტორინგისა და ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკის სისტემის აგების პრინციპები, რომელიც შეიცავს ინფორმაციული სიხშირეების გამოყოფას და მათი მნიშვნელობების შეფასებას, დიაგნოსტიკური ნიშნების ვექტორის ფორმირებას, ტექნიკურ მდგომარეობათა შეფასებას, რომელიც დაყრდნობილია სახეთა ამოცნობის თეორიაზე.

2. ჰიდროენერგოაგრეგატების ძირითად ვიბროაქტიური კვანძების ტექნიკურ მდგომარეობათა შეფასების მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ვიბროაჩქარების ჯამურ დონეებზე, ვიწროზოლიან, ტერც-ოქტავურ და ოქტავურ სპექტრალურ ანალიზზე და შესაბამისი მაღალსიხშირული რხევების მომვლევებზე, ჰიდრო-ენერგოაგრეგატების ვიბრაციების სპექტრში ინფორმაციული სიხშირეების გამოვლენის მეთოდები და მათი ინფორმატიულობის შეფასება.

3. დიაგნოსტიკების მოდელების აგების საფუძვლები, რომლებიც იძლევიან ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობათა კლასიფიკაციის განხორციელების შესაძლებლობას მრავალგანზომილებიანი დიაგნოსტიკური ნიშნების მეშვეობით.

4. ჰიდროენერგოაგრეგატების ელექტრომექანიკური სისტემის ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკის მეთოდთა MathCad-ის სისტემაში, რომელიც იძლევა ტექნიკურ მდგომარეობათა განსაზღვრის შესაძლებლობას და მათი განვითარების პროგნოზს ექსპლუატაციის პირობებში.

მეცნიერული სიახლე. სამუშაოს მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პირველად ფორმულირებულია ჰიდროენერგოაგრეგატების ვიბროაკუსტიკური მონიტორინგისა და ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკის სისტემის აგების პრინციპები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციული სიხშირეების გამოყოფას და მათი მნიშვნელობის შეფასებას, დიაგნოსტიკური ნიშნების ვექტორის ფორმირებას, დეფექტ-სიმპტომის ცხრილების აგებას, ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას, სახეთა ამოცნობის თეორიაზე დაყრდნობით. ამის საფუძველზე შექმნილია ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც აგებულია უნივერსალურ კომპიუტერულ პროგრამაში MathCad-ში (რაც ფაქტიურად უფასოა, წამყვანი ფირმების ძვირად ღირებული პროდუქციისაგან განსხვავებით - ეკონომიკის სახითხები აქ ძალიან მნიშვნელოვანია).

პრაქტიკული ღირებულება. ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობათა შეფასებისათვის დიაგნოსტიკური ნიშნების და დიაგნოსტიკური მოდელების მიღებული მონაცემები არიან მეთოდოლოგიური საფუძვლები ტექნიკურ მდგომარეობათა საშუალებების დამუშავებისათვის და რემონტისა და მომსახურების სისტემის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი. მათი პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იძლევიან შესაძლებლობას:

1. დამუშავებული დიაგნოსტიკური საშუალებები გამოყენებული იქნან ჰიდრო-ენერგოაგრეგატების დამზადების, გაწყობის და მონიტორინგის პროცესში ექსპლუატაციის დროს;

2. კომპიუტერული მოდელირების შესრულების და დიაგნოსტიკის ნიშნების ფორმირების, ინფორმაციული მონაცემების ბაზების შექმნის, რომლებიც არიან საფუძველი ჰიდროენერგოაგრეგატების ელემენტების ტექნიკურ მდგომარეობათა შეფასების და აგრეთვე ფუნქციონირების ხარისხის სტატისტიკური ანალიზისათვის;

3. ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკური მომსახურების სისტემის „ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით“ დანერგვის, რომელიც დაფუძნებულია ვიბრაციული პარამეტრებით დიაგნოსტიკურ კონტროლზე.

სამუშაოს შედეგების დანერგვა და რეალიზაცია. დამუშავებული მოდელები, მეთოდიკა და ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი უნდა იქნან გამოყენებული ჰიდრო-ენერგოაგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობათა კომპიუტერული დიაგნოსტიკის სისტემების დამუშავებისას და დანერგვისას ყველა ჰიდროელექტროსადგურებში მთელ საქართველოში.

სადისერტაციო სამუშაოს შედეგები გამოყენებული უნდა იქნან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკული სპეციალობების სასწავლო პროცესში, როგორც სადიპლომო პროექტირებისას, ასევე მაგისტრებისა და დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში.

სამუშაოს აპრობაცია. სამუშაოს ძირითადი დებულებები და შედეგები დისერტაციის თემაზე მოხსენებული იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე.

1. ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები
2. მდგრადი ენერგეტიკა გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები.

პუბლიკაციები. დისერტაციის თემაზე ავტორის მიერ გამოქვეყნებულია 3 სტატია საერთაშორისოდ აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში.

სამუშაოს მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება 108 გვერდისაგან, შესავალისაგან, 4 თავისაგან, დასკვნებისაგან და გამოყენებული ლიტერატურის 47 ჩამონათვალისაგან.

თავი 1

ენერგეტიკული მანქანების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ამოცანათა დასმა და ზოგადი მიმოხილვა

1.1. მანქანათა ტექნიკური დიაგნოსტიკა

ტექნიკური დიაგნოსტიკა მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც განსაკუთრებულად განვითარდა ბოლო წლების განმავლობაში, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა დარგის ტექნიკის მოხმარების ზრდასთან. დღესდღეობით თანდათან იზრდება როგორც მარტივი ასევე რთული ტექნიკური სისტემების მნიშვნელობა, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, რადიოელექტრონიკასა და ენერგეტიკაში. მოთხოვნა უსაფრთხოებაზე, მტყუნების დაბალი რისკი და მუშაობის ხანგრძლივობა ეს ტექნიკური დიაგნოსტიკის წარმოშობისა და მისი განვითარების ძირითადი მიზეზებია [27]. ტექნიკური დიაგნოსტიკა - ესაა მეცნიერება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას ექსპლუატაციის პროცესში.

ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა განისაზღვრება ტექნიკური პარამეტრების ერთობლიობით, რომლებიც ახასიათებენ ობიექტის ფუნქციონირების შესაძლო გადახრას ნორმალურისაგან და რომლებსაც თავის მხრივ მივყავართ შესაძლო მტყუნებამდე (ობიექტის გაჩერებამდე).

მანქანის ან მექანიზმის ტექნიკური მდგომარეობის პარამეტრებია: მისი დეტალების გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრები, მათი ურთიერთგანლაგება, ღრეჩოები, საკონტაქტო ზედაპირების ხარისხი, ღერძების გადახრის კუთხეები, გეომეტრიული ზომების ცდომილებები, მასალის სტრუქტურისა და სიმტკიცის ცვლილებები, ვიბრაციისა და ხმაურის ჯამური და სპექტრალური მდგენელების დონეები, ტემპერატურები, ნარევის წარმოქმნის ხარისხი, და ასე შემდეგ. ტექნიკური დიაგნოსტიკის დროს ხდება ტექნიკური მდგომარეობის პარამეტრების ფარდობითი შეფასება (პარამეტრების შედარება, მაგალითად, დღევანდელი პარამეტრების გუშინდელთან).

ტექნიკური დიაგნოსტიკა სწავლობს ტექნიკური ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდებს. მის მიზანს წარმოადგენს ტექნიკური სისტემების საიმედოობისა და რესურსის ამალღება. როგორც ცნობილია საიმედოობის არანაკლებ

მნიშვნელოვან მახასიათებლად ითვლება მტყუნებების რისკის შემცირება მანქანა-დანადგარის ფუნქციონირების დროს. საავიაციო ძრავების, წყალქვეშა ხომალდებისა და სხვადასხვა ენერგეტიკული დანადგარის ძრავებისა თუ ტექნიკური დანადგარების მტყუნებამ მათი ექსპლუატაციის პროცესში შესაძლოა მიგვიყვანოს მძიმე შედეგებამდე და გამოიწვიოს არა მხოლოდ ეკონომიკურ-ტექნიკური დანაკარგები არამედ ადამიანური მსხვერპლიც კი. დეფექტებისა და გაუმართაობების ადრეული გამოვლინების წყალობით ტექნიკური დიაგნოსტიკა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მტყუნებები ექსპლუატაციის დროს, რაც ამალღებს საიმედოობისა და ეფექტურობის ხარისხს [31].

ტექნიკური დიაგნოსტიკა წყვეტს პრობლემების საკმაოდ ფართო სპექტრს, მრავალი მათგანი კი დაკავშირებულია მეცნიერების სხვადასხვა დარგთან. ტექნიკურ დიაგნოსტიკას ხშირ შემთხვევაში მოიხსენიებენ როგორც „დიაგნოსტიკა მუშაობის პროცესში“ , იმიტომ რომ მდგომარეობის ანალიზი ხდება ექსპლუატაციის პირობებში. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიაგნოსტიკის ამოცანის გადაწყვეტისას თავიდან აცილებული იქნას მცდარი განგაშის რისკი, დიაგნოსტიკის ამოცანის გადაწყვეტა ყოველთვის დაკავშირებულია საიმედოობის პროგნოზთან, დანადგარის ექსპლუატაციის უახლოეს პერიოდში .

ტექნიკური დიაგნოსტიკა დაკავშირებულია საკმაოდ დიდი ინფორმაციის მიღებასთან მის დამუშავებასთან და ამ დამუშავებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებასთან, ეს პროცესი ხორციელდება ელექტროგამომთვლელი მანქანების დახმარებით. ის წყვეტს ამოცანების ძალიან ფართო სპექტრს. ამ მიმართულების თეორიულ ფუნდამენტად შეიძლება მივიჩნიოთ ნიმუშების ამოცნობის ზოგადი თეორია. ეს თეორია არის ტექნიკური კიბერნეტიკის უმთავრესი ნაწილი [44].

დიაგნოსტიკის ამოცანის გადაჭრის დროს ყოველთვის არის მცდარი შედეგების მიღების რისკი. დიაგნოსტიკის ამოცანა ასევე დაკავშირებულია ექსპლუატაციის დროს უახლოეს პერიოდში მოსალოდნელი ცვლილებების ამოცნობასთან. დიაგნოსტიკის მეორე მთავარი მიმართულება ეს არის კონტროლის საიმედოობის თეორია. კონტროლსაიმედოობა ითვალისწინებს დროული ინფორმაციის მიწოდებას სავარაუდო დეფექტის (მტყუნების) შესახებ [30]. კონტროლის საიმედოობის ურთულეს ამოცანას

წარმოადგენს იმ მეთოდებისა და საშუალებების ძიება რომლის მიხედვითაც მივიღებთ დიაგნოსტიკისათვის საჭირო აუცილებელ ინფორმაციას (სიგნალს). ასეთი ავტომატიზირებული კონტროლის სისტემების პროექტირება წარმოადგენს კონტროლის საიმედოობის ერთ-ერთ მიმართულებას. საბოლოოდ კონტროლის საიმედოობის ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა დაკავშირებულია იმ ალგორითმების დამუშავებასთან, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ აღმოვაჩინოთ გაუმართაობები.

1.2. ენერგეტიკული დანადგარების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკა

ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკა წარმოადგენს ტექნიკური დიაგნოსტიკის ერთ-ერთ სახეს, სადაც დიაგნოსტიკისათვის აუცილებელ მთავარ სიგნალს წარმოადგენს მანქანა-დანადგარის მუშაობის დროს არსებული ვიბრაციები და ხმაური. ტექნიკური ობიექტის გამართულად მუშაობისათვის საჭირო დანახარჯების რიცხვი ბევრჯერ აღემატება მისი დამზადებისათვის საჭირო ხარჯებს. ავტოტრანსპორტის შემთხვევაში ეს დანახარჯები შესაძლოა 6-7 -ჯერ მეტი იყოს დანადგარებისათვის 8 -ჯერ, თვითმფრინავებისათვის 5 -ჯერ, რადიოაპარატურისათვის 12-ჯერ [28].

ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის ძირითადი დანიშნულება არის კონტროლი და პროგნოზი დანადგარის მდგომარეობის ექსპლუატაციის პირობებში. ვიბროაკუსტიკური მეთოდებით ხდება ორი ძირითადი ამოცანის გადაჭრა ესენია:

- 1) ექსპლუატაციის პირობებში მყოფი აგრეგატის მდგომარეობის გაცნობა;
- 2) იმ დარღვევებისა და მიზეზების გამოვლენა, რომლებმაც შესაძლოა თავი იჩინოს უახლოეს ხანებში.

ხშირ შემთხვევაში ექსპლუატაციის პროცესში ახლად შესული მანქანის დიაგნოსტიკას არ იწყებენ რადგან თავდაპირველად მისი დაზიანების და მასზე ავარიის რისკი დაბალია რაც ეკონომიკურად გამართლებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ

ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკა შესაძლოა გამოვიყინოთ ყველა იმ მოწყობილობასთან დაკავშირებით სადაც არსებობს ან შეიძლება წარმოიქმნას რხევითი პროცესები. ვიბრაცია და ხმაური ეს არის თანმდევი პროცესი ნებისმიერი დინამიური პროცესისა, რომელიც გვაქვს ყველა მანქანაში. ეს ძალები არიან პირველი წყარო არა მხოლოდ ხმაურის და ვიბრაციის არამედ დეფექტების [46]. პრაქტიკაში ვიბრაციის კონტროლი და ვიბრაციული დიაგნოსტიკა არის სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანები. დიაგნოსტიკაში დეფექტი განისაზღვრება რხევითი ძალით, რომელიც წარმოიშობა დეფექტის ზონაში, ხოლო ძალა სწორხაზოვნად დაკავშირებულია ვიბროაჩქარებასთან და არა სიჩქარესთან (იმიტომ, რომ სენსორები რეაგირებენ ვიბროსიჩქარებაზე), ამიტომ დიაგნოსტიკისას ხშირად სარგებლობენ ვიბროაჩქარების გაზომვით და მანქანების ვიბრაციული კონტროლისათვის დამატებით ზომავენ ვიბროგადაადგილებას, მხოლოდ განსაზღვრულ დაბალსიხშირულ დიაპაზონში (განსაკუთრებით დაბალსიხშირის ბრუნთა რიცხვის მქონე მექანიზმებში - მანქანებში). ვიბრაციის გაზომვისათვის როგორც წესი გამოიყენება ვიბროაჩქარების მოწყობილობა, რომელიც მუშაობს პიეზოეფექტზე, ხმის საზომად გამოიყენება მიკროფონი [26].

ვიბრაციული დიაგნოსტიკა თავის თავში არ გულისხმობს მანქანის ავარიისგან გარანტირებულ დაცვას ის მხოლოდ იძლევა ინფორმაციას მანქანის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ და მიუთითებს ადამიანებს შემდეგი მოქმედებებისათვის, თუნდაც დეფექტის ჩასახვის საწყის ეტაპზე.

არსებობს ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის სამი ძირითადი ჯგუფი:

1. დიაგნოსტიკის პროფესიონალური სისტემები, რომელშიც ოპერატორი თვითონ ირჩევს ინფორმაციულ ტექნოლოგიას და გაზომვის საშუალებას. ამ შემთხვევაში ექსპერტ-ოპერატორის ცოდნა და გამოცდილება სრულიად განსაზღვრავს დიაგნოზის საიმედოობას;

2. დიაგნოსტიკის ექსპერტული სისტემები. რომელიც ეხმარება ოპერატორს მიიღოს გადაწყვეტილება განსაზღვრულ მომენტში;

3. ავტომატიზირებული დიაგნოსტიკის სისტემები [38].

დიაგნოსტიკა ეს პირველ რიგში არის სუსტი კომპონენტების ძიება ძლიერის ფონზე. ძლიერი და სუსტი კომპონენტები განსხვავდებიან სიხშირის მიხედვით და სიმძლავრის

მიხედვით ეს კომპონენტები შესაძლოა განსხვავდებოდნენ 10⁶ -ჯერ, ამიტომ იზომება არა მათი სიმძლავრე, არამედ ამპლიტუდა. ამ მეთოდით ძლიერ და სუსტ კომპონენტებს შორის განსხვავება უფრო მკაფიოა [4].

დღესდღეობით ტერმინის ქვეშ „მონიტორინგი“ იგულისხმება ტექნიკური სისტემის მდგომარეობის პარამეტრების გაზომვის სრული კომპლექსი. მონიტორინგი ყოველთვის არ იძლევა ზუსტ პასუხს შესაძლო დეფექტების შესახებ. აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ტერმინი მონიტორინგი და დიაგნოსტიკა.

მონიტორინგი - ეს არის კონტროლი ძირითადი პარამეტრებისა, ხოლო ტერმინი **დიაგნოსტიკა** - ეს არის დეფექტების და მათი განვითარების პროგნოზის იდენტიფიცირება.

ენერგეტიკული მოწყობილობების მონიტორინგის თანამედროვე სისტემები აგებულია კონტროლის და დიაგნოსტიკის მყარ მეთოდებზე. მასში გამოყენებული დიაგნოსტიკის მეთოდები შესაძლოა დაიყოს ორ ჯგუფად:

1. ტესტური დიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც მოითხოვს ხელოვნური დარღვევების წარმოშობას;
2. ფუნქციონალური დიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ისეთი მანქანებისათვის, რომლებიც არიან ბუნებრივი დარღვევების წყარო მათი მუშაობის პროცესში [2].

ზოგადად, დიაგნოსტიკის პროცესის სქემა ასეთია:

1. დიაგნოსტიკური მოდელის შედგენა;
2. ვიბრაციების მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზი;
3. შესაძლო დეფექტებისა და შესაბამისი სიმპტომების ჩამოყალიბება და მათი დასაშვები სიდიდეების დადგენა;
4. მოგროვილი ინფორმაციის კომპიუტერში შეყვანა და კომპიუტერული დიაგნოსტიკური პროგრამის შექმნა;
5. სადიაგნოსტიკო სისტემის ძირითადი კვანძების ტექნიკურ მდგომარეობათა შეფასება და რეკომენდაციების გაცემა ოპერატორისათვის შემდგომი მოქმედებისათვის.

ტექნიკის ნებისმიერ დარგში სხვადასხვა მანქანის ექსპლუატაცია და რემონტი ხდება შემდეგი სამი პრინციპის მიხედვით:

1. მუშაობა მტყუნებამდე;
2. მანქანა დანადგარების რემონტი ექსპერტების შეფასების მიხედვით;
3. მანქანა დანადგარების რემონტი დიაგნოსტიკის შედეგების მიხედვით.

მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლევა მხოლოდ მესამე საშუალება, მისი წარმატებით განხორციელება საშუალებას გვაძლევს:

1. მოვახდინოთ დროის ეკონომია და შევამციროთ სათადარიგო ნაწილებისათვის საჭირო ფინანსები მესამედამდე;
2. შევამციროთ მოულოდნელი მტყუნებების რიცხვი 10-ჯერ;
3. შევამციროთ გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ამისათვის აუცილებელია ობიექტის სრული დიაგნოსტიკა რათა აღმოჩენილ იქნას ყველა დეფექტი, რომელიც გავლენას ახდენს რესურსზე. მექანიკასა და ელექტრომექანიკაში, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მანქანის ეფექტური დიაგნოსტიკა შესაძლებელია ვიბრაციების საშუალებით და მათზე დაკვირვების გზით, რადგანაც:

1. რხევითი ძალები წარმოიშობიან პირდაპირ დეფექტის გაჩენის ადგილზე;
2. ვიბრაცია არის მაქსიმალურად ინფორმაციული დიაგნოსტიკისათვის;
3. დიაგნოსტიკა შესაძლებელია ადგილზე მოწყობილობის მუშა რეჟიმიდან გამოყვანის გარეშე [1].

განსაკუთრებულად რთულია დიაგნოსტიკის ის სისტემები, რომლებიც გამოიყენება მბრუნავი მექანიზმების კონტროლისათვის. მათ დანიშნულებას წარმოადგენს დეფექტების გამოვლენა მათი ჩასახვის პირველივე ეტაპიდანვე, აგრეთვე მანქანა დანადგარის მდგომარეობის შესახებ გრძელვადიანი პროგნოზი. დიაგნოსტიკის განსაკუთრებულ მეთოდს წარმოადგენს ასევე ისიც, რომ დეფექტების ჩასახვისთანავე მათი გამოვლინებისათვის საჭიროა ვიბრაციაზე განსაკუთრებით მგრძნობიარე ხელსაწყოები [32].

1.3. მანქანათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის განვითარების ეტაპები

მანქანების ტექნიკური მდგომარეობის მეთოდები და შეფასების საშუალებები განვითარდა ეტაპობრივად, თავიდან ხდებოდა სხვადასხვა პარამეტრების კონტროლი, შემდეგ მონიტორინგი და ბოლო ეტაპი იყო დიაგნოსტიკის სისტემების დანერგვა და ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი.

შესაძლოა გამოვყოთ დიაგნოსტიკურ-ინფორმაციული საშუალებების განვითარების სამი ძირითადი ეტაპი:

1. პირველი მიეკუთვნება საწყის ეტაპს დიაგნოსტიკაში და პირველ რიგში ვიბროაკუსტიკაში, როდესაც მანქანის მდგომარეობის შეფასებისათვის გამოყენებული იყო ადამიანის სმენის ორგანოები;

2. მომდევნო ეტაპს მიეკუთვნება ვიბროაკუსტიკური დანადგარების შექმნა, რომლებიც გამოიყენება ვიბრაციების, ხმაურის და მათი სპექტრალური ანალიზის გასაზომად მაღალსიხშირულ დიაპაზონებში. სწორედ ამ მოწყობილობების გამოჩენისას 50-60-იან წლებში დაიწყო სიგნალების ანალიზის ინტენსიური კვლევები სპეციალიზირებული დიაგნოსტიკის ამოცანებისათვის. ძირითადი ნაბიჯები დიაგნოსტიკის დარგში გადადგმულ იქნა 60-70-იან წლებში, სწორედ ამ წლებში იქნა ჩატარებული უამრავი კვლევა იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს დეფექტის სხვადასხვა სახეობები დანადგარის მუშაობაზე და როგორ გამოისახება ეს ყველაფერი დიაგნოსტიკის დროს სიგნალებში. ამ ცდების შედეგებმა აჩვენეს, რომ ვიბრაციის სიგნალი უდიდესი ინფორმაციის მატარებელია და სხვა სიგნალები უბრალოდ დუბლირებაა ამ ინფორმაციის, რასაც შეიცავს ვიბრაციის სიგნალი. გარდა ამისა, ცნობილი გახდა ისიც, რომ დეფექტები ჩნდება ავარიის მომენტის დადგომამდე და ბევრ შემთხვევაში დანადგარების ექსპლუატაციის პირველ ხანებში და ცნობილი გახდა ისიც, რომ დეფექტები გავლენას ახდენენ ვიბრაციაზე (აისახებიან მასში);

3. მესამე ეტაპი თანმდევია კომპიუტერული ტექნიკის და ტექნოლოგიების განვითარების. კონკრეტულად ამ დროს გამოჩნდა სპექტრის ციფრული ანალიზატორები და გახდა შესაძლებელი სხვადასხვა ექსპერტები ჩაენაცვლებინა ამ ხელსაწყოებს. თავდაპირველად დანადგარის სხვადასხვა ნაწილების ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკა და პროგნოზირება ხდებოდა ავტომატურად

სხვადასხვა ექსპერტული პროგრამებით. თანამედროვე მძლავრი კომპიუტერების გამოჩენამ ხელი შეუწყო ამ პროცესს [3].

გაზომვებისა და ანალიზის სამივე აღნიშნული საშუალება დაფუძნებულია სამი ტიპის მოწყობილობაზე, ესენია:

1. ვიბრაციის სენსორი ან მიკროფონი, რომელიც გარდაქმნის რხევას ელექტრულ სიგნალად;
2. ფილტრი, რომელიც გამოყოფს სიგნალს ჩვენთვის აუცილებელი სიხშირის დიაპაზონში;
3. დეტექტორი, რომელიც ემსახურება გამოყოფილი კომპონენტების ამპლიტუდის შეფასებას.

ვიბროდიაგნოსტიკის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია სხვადასხვა სახის გამომთვლელი მანქანების გამოჩენასთან, რაც გამოიყენებოდა სპექტრალური ანალიზისათვის. სხვადასხვა სიხშირეებისგან შემდგარი რთული სიგნალების მიღება ადამიანის სმენის ორგანოებით შეუძლებელია, სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გაცილებით ეფექტური დიაგნოსტიკა და მონიტორინგი [5].

ამ მეთოდის პირველ წარმატებად, ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის პირველ ეტაპზე, შეიძლება ჩაითვალოს შიგაწვის ძრავების დიაგნოსტიკა. შემდეგი წარმატებული ნაბიჯია დარტყმითი იმპულსებით დიაგნოსტიკის მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება. შემდეგში კი დიაგნოსტიკა განვითარდა ვიბრაციის ანალიზის მიმართულებით, რომელიც წარმოიშობა ხახუნის ძალით [25].

ტექნიკის ნებისმიერ სფეროში იდეიდან მის რეალიზაციამდე და პრაქტიკაში დანერგვამდე გარკვეული დროა საჭირო. ვიბრაციის ანალიზის ძირითადი მეთოდები გამოჩნდა 60-80-იან წლებში, მაგრამ ამ ყველაფრის რეალიზაციამდე გაიარა 2-3 ათწლეულმა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მისი პრაქტიკული გამოყენება მრეწველობის თითქმის ყველა დარგში. რეალურად ვიბრომზომი ტექნიკის ეპოქა დაიწყო 90-იან წლებში, როდესაც დაიწყო სხვადასხვა მოწყობილობების აგება მიკროკომპიუტერების ბაზაზე. დღესდღეობით კომპიუტერების ახალი თაობა ჩნდება ყოველ 2-3 წელიწადში და ასევე ყოველ 2-3 წელიწადში ხდება მზომი და ანალიზური

ტექნიკის განახლება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მოწყობილობა ეს არის მოწყობილობას პლუს მიკროკომპიუტერი. დღესდღეობით ფართოდ გავრცელებულია ვირტუალური მოწყობილობები, როდესაც გვაქვს მოწყობილობა პლუს სენსორი და პერსონალური კომპიუტერი. დიდი ხნის მანძილზე მანქანების დიაგნოსტიკა მაღალსიხშირული ვიბრაციის მიხედვით ვერ ვითარდებოდა მათი ეფექტური ანალიზის არარსებობის გამო. მაგრამ 1968 წელს შვედმა სპეციალისტებმა მიაკვლიეს მაღალსიხშირული ვიბრაციის ანალიზის ახალ მეთოდს. ამ მეთოდს ეწოდება „დარტყმითი იმპულსების მეთოდი“. ასეთ ტიპის ანალიზის შესრულებისათვის შეიქმნა სპეციალური საზომი მოწყობილობები, რომლებიც თავიანთი დაბალი ღირებულების გამო არის ფართოდ გავრცელებული. ამ მეთოდმა მისცა დასაბამი დიაგნოსტიკის ბევრ ახალ სისტემას [37].

ბოლო წლების განმავლობაში შემუშავებულ იქნა რამდენიმე ეფექტური მეთოდი, რომელიც გამოავლენს ძირითად დეფექტებს მანქანაში მისი ჩასახვის პირველივე ეტაპიდან. ბუნებრივია, ეს მეთოდები დაფუძნებულია მაღალსიხშირული ვიბრაციის ანალიზზე, რომლის წარმოქმნისათვის არ არის საჭირო დიდი რხევითი ძალების არსებობა. ამის პარალელურად განვითარდა დიაგნოსტიკის ავტომატიზირებული ალგორითმების მეთოდი, რაც ეხმარება დიაგნოსტიკის სისტემის მწარმოებლებს შეცვალოს თუნდაც მაღალი კლასის ექსპერტი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მაღალი დონის ანალოგური ამოცანების ამოხსნისას. ასეთი ამოცანების წილი საკმაოდ მაღალია [33].

1.4. ენერგეტიკული მანქანების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური მონიტორინგის სხვადასხვა სისტემების განხილვა

1.4.1. მონიტორინგისა და კონტროლის მარტივი სისტემების დანიშნულება

ექსპლუატაციაში მყოფი მანქანის საიმედოობა და ხარისხი განისაზღვრება მისი პროექტირების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობებით, მომსახურებით და ასევე მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის საშუალებების ეფექტურობით.

მარტივი მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის სისტემების მთავარი პრობლემა არის ის, რომ შეუძლებელია წინასწარ გარანტირებულად ითქვას რამდენ ხანს შეიძლება ამ სისტემებმა სტაბილურად, კარგ მდგომარეობაში იმუშაოს. თუკი ბევრი გასაკონტროლებელი პარამეტრის საზღვრები წინასწარ ცნობილია, ამ შემთხვევაში კონტროლის სისტემების ძირითადი დანიშნულება არის აღმოაჩინოს და დააფიქსიროს რომელიმე პარამეტრის წინასწარ განსაზღვრული საზღვრიდან გადაცდომა. ამისათვის იქმნება მონაცემთა ბაზები, რომელშიც შესულია პერიოდული გაზომვის შედეგები გასაკონტროლებელი პარამეტრების ტრენდის (ტენდენციის) ასაგებად [29].


მარტივი მონიტორინგის გადასატანი სისტემების დახმარებით ძირითადად ხდება ისეთი მეორადი პროცესების გაზომვა, როგორცაა, მაგალითად ვიბრაცია და ტემპერატურა. განსხვავებით გადასატანი სისტემებისაგან სტაციონალური სისტემების შემთხვევაში, მეორადი პროცესების რაოდენობა შესაძლოა იყოს გაფართოებული [26].

1.4.2. მარტივი გადასატანი ვიბრომონიტორინგის სისტემების დანიშნულება

მიზეზი იმისა, თუ რა განაპირობებს ძირითად მოთხოვნილებას მონიტორინგის სისტემებისა, არის ის, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია ძირითადი პარამეტრები ვაკონტროლოთ დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ზღვრებში.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის სისტემების მინიმალურ დანიშნულებას შესაძლებელია წარმოადგენდეს ისიც, რომ გამოვიყენოთ სტანდარტული ვიბრომომზომი

და მისი საშუალებით გაზომილი ვიბრაციების აღრიცხვა ვაწარმოოთ, რაც საშუალებას მოგვცემს გვეკონდეს მონაცემთა ბაზა, ხოლო ამ ბაზის მიხედვით ვაკონტროლოთ რომელიმე პარამეტრის წინასწარ განსაზღვრული ზღვრებიდან გამოსვლა, ან მისი (მნიშვნელობის) მიახლოება კრიტიკულ მნიშვნელობას. ასეთი მარტივი მონიტორინგის სისტემების (სურ.1.1.) დახმარებით შეუძლებელია, როგორც პროგნოზირება შესაძლო ცვლილებებისა, ასევე შეუძლებელია ტრენდის განსაზღვრაც [35].



სურ.1.1. მარტივი მონიტორინგის სისტემა VIBRO 21

დღევანდელ რეალობაში არსებობს სხვა ტექნიკური გადაწყვეტაც, რაც ეხმარება მომსახურე პერსონალს მიიღოს უფრო ზუსტი მონაცემები ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. ეს შესაძლებელს ხდის გავაკეთოთ უფრო დამაჯერებელი პროგნოზი. ამისათვის საჭიროა გავზარდოთ მზომი ტექნიკისა და მოწყობილობების ხარისხი. თანამედროვე ციფრული მოწყობილობები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ, როგორც გაზომვები, ასევე გავაკეთოთ ჩატარებული გაზომვების ანალიზი [47].

1.4.3. მონიტორინგის მარტივი სტაციონალური სისტემები

მონიტორინგის მარტივი სისტემების ძირითად დანიშნულება არის დანადგარის კონტროლი მისი უნივერსალური პარამეტრების მიხედვით, რომელიც დადგენილია ქარხანა-დამამზადებლის მიერ. გასაკონტროლებელი პარამეტრების რიცხვი სტაციონალური მონიტორინგის სისტემების შემთხვევაში შესაძლოა იყოს უფრო მეტი, ვიდრე სტაციონალური სისტემების შემთხვევაში.

მონიტორინგის მარტივი სტაციონალური სისტემების უმრავლესობა, რომლებიც დაფუძნებულია ძველი თაობის სისტემებზე არ გამოიყენებენ მზომ გარდამქმნელებს. ასე, რომ მონიტორინგის მარტივი სისტემა დაფუძნებულია ზღვრული ვიბრაციის კონტროლზე, მისი ფუნქცია არის მხოლოდ ავარიული სიგნალიზაცია და ამ ფუნქციას ემატება დაუშვებელი გადახრების დაფიქსირება. სწორედ ამ გადახრებს მივყავართ ვიბრაციების სახიფათო ზრდამდე. ეს გროვდება მონაცემთა ბაზებში და გვამღევეს შესაძლებლობას გამოვავლინოთ ამ გადახრების მომენტები და მათი შესაძლო მიზეზები, რათა არ დავუშვათ ისინი შემდეგომში. ნებისმიერი მწარმოებლის მონიტორინგის სტაციონალურ სისტემებს აქვთ მაღალი ღირებულება. აქედან გამომდინარე, მონიტორინგის მარტივი სტაციონალური სისტემების გამოყენება ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურად არ არის გამართლებული, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ის გამოყენებულია მარტივ გადასატან სისტემებთან ერთად [26].

1.4.4. მანქანა-დანადგარების ღრმა დიაგნოსტიკების სისტემების დანიშნულება

მანქანა-დანადგარების ღრმა დიაგნოსტიკების სისტემების დანიშნულება არის ჩასახული დეფექტების ადრეული აღმოჩენა, მონიტორინგი, მანქანა-დანადგარის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ გრძელვადიანი პროგნოზი და ავარიისა და მტყუნებების რისკის მინიმალურამდე შემცირება [39]. თითქმის არც ერთი დეფექტი თუ დაზიანება არ იწვევს მისი ჩასახვიდანვე მინიმალურ დროში ავარიას. დანადგარის

გრძელვადიანი პროგნოზის ამოცანის გადაწყვეტა მაღალ დონეზე შესაძლებელია თუკი დაცული იქნება შემდეგი პირობები:

1. ყველა იმ შესაძლო დეფექტის განსაზღვრა რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას;
2. ყველა დეფექტის დიაგნოსტიკური საფუძვლების განსაზღვა, როგორც ადრეულ, ასევე შუა და ბოლო სტადიებში;
3. იმ ძირითადი ზონების განსაზღვრა, საიდანაც უნდა მოხდეს დიაგნოსტიკისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება;
4. ექსპლუატაციის პროცესში მყოფი დანადგარის დიაგნოსტიკა უნდა მიმდინარეობდეს მისი დაშლისა და გაჩერების გარეშე.


თავი 2

ჰიდროენერგეტიკის ელექტრომექანიკური სისტემის დინამიკის თეორიული კვლევა

2.1. ჰიდროენერგოაგრეგატების დინამიკის განტოლება

ჰიდროენერგოაგრეგატი, როგორც ენერგოსისტემა, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც უზარმაზარი მქნევარა, რომელიც ბრუნავს მუდმივი სიხშირით. ჰიდროენერგეტიკის აქ მოდელირებულია მქნევართი, რომელიც შედგება გენერატორის როტორისაგან და მუშა თვალისაგან (ტურბინისაგან). ჰიდროენერგეტიკის ენერგოსისტემასთან კავშირის მექანიკურ მოდელად შეიძლება მივიჩნიოდ დრეკადი ტორსიონი, რომლის გრეხითი სიხისტე არის m_c . ტორსიონის გრეხის კუთხე θ განსაზღვრავს ჰიდროენერგეტიკის მუშაობის რეჟიმს. თუ $\theta > 0$ მაშინ ხდება ელექტროენერჯის გამომუშავება (გენერატორის რეჟიმი), თუ $\theta < 0$ მაშინ ხდება ენერჯის მოხმარება (ძრავის რეჟიმი).

ქვემოთ ნახ.2.1.-ზე წარმოდგენილია ჰიდროენერგოაგრეგატის ელექტრომექანიკური მოდელი.



ნახ.2.1. ჰიდროენერგოაგრეგატის ელექტრომექანიკური მოდელი

ზოგადად აგრეგატის როტორის მოძრაობის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\frac{J}{k} \frac{d^2 \theta}{dt^2} + D \frac{d\theta}{dt} + m\theta_b = M_3$$

ეს არის ჰარმონიული ოსცილატორის განტოლება, რომლის საკუთარი სიხშირე ω_0 და Q - ფაქტორი (ვარგისიანობა) უდრის:

$$\omega_0 \approx \sqrt{\frac{m_b k}{J}} \quad Q \approx \omega_0 \frac{J}{kD} = \frac{1}{D} \sqrt{\frac{m_b}{k}}$$

ამგზნები მომენტის მოქმედებისას სინქრონული მანქანა ასრულებს მიღევად რხევებს, რომელსაც სინქრონულ რხევებს უწოდებენ. ამ დროს ირხევა კუთხე θ . შესაბამისად იცვლება ელექტრული მომენტი და გენერატორის სიმძლავრე. აგრეგატის სინქრონული რხევის სიხშირე ჩვეულებრივად მცირეა და არის დიაპაზონში 0.5 – 3 ჰც.

$M_{g\theta}$ ელექტრომაგნიტური მომენტი, კი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$M_{g\theta} \approx \frac{3U}{\omega} \frac{E_0}{x_{qd}} \cos \theta * \theta = m_b * \theta$$

სადაც, (კუთხე θ - არის დატვირთვის კუთხე ე.დ.ს. (E_0) – სა და ძაბვის (U) ვექტორებს შორის, x_{qd} - დაყვანილი სინქრონული წინააღმდეგობაა, m_b - ხვედრითი მასინქრონიზირებადი მომენტია და უდრის

$$m_b \approx \frac{3U}{\omega} \frac{E_0}{x_{qd}} \cos \theta$$

გენერატორში არის მადემფერებელი გრაგნილი, რომელიც ამცირებს როტორის რხევებს აგრეგატის მიმართ. ამ გრაგნილის ელექტრომაგნიტური მომენტი უდრის:

$$M_{\omega} = \frac{k3U^2}{\omega r_2} S = \frac{3U^2}{\omega^2 r_2} \frac{d\theta}{dt} = D \frac{d\theta}{dt}$$

სადაც, S - არის როტორის სრიალი, k - პოლუსების წყვილთა რიცხვი, ხოლო r_2 - სრილის დაყვანილი წინააღმდეგობაა.

ძირითადი დინამიური ძალები, რომლებიც მოქმედებენ ჰიდრო ენერგოაგრეგატში არიან:

1. მექანიკური ბუნების (ცენტრიდანული, კინემატიკური, პარამეტრული, ხახუნის ძალები, დარტყმები);

2. ელექტრომაგნიტური ბუნების (მაგნიტური, ელექტროდინამიური, მაგნიტოსტრიქციული);
3. ჰიდროდინამიური ბუნების (ამწე, ანუ გარსშემოდინების ძალები, ხახუნის ძალები, წნევის პულსაციები).

ეს დინამიური ძალები არიან დეტერმინირებული (ხშირად პერიოდული) და შემთხვევითი. მათი ერთდროული ზემოქმედების შედეგად ჰიდროენერგოაგრეგატები განიცდიან რთულ წრფივ და არაწრფივ რხევებს და გენერირდებიან რთული ვიბრაციული ველები. ადგილი აქვს თანაზომადი სიდიდის რხევებს სამივე მიმართულებით - როტორის რადიალური ტანგენციური და გრძივი მიმართულებებით.

ჰიდროენერგოაგრეგატების რხევების თეორიული ანგარიში მათი სირთულის გამო დღესდღეობით შეუძლებელი ამოცანაა, არადა ენერგოაგრეგატების მუშაობის პროცესში მათი ტექნიკურ მდგომარეობათა უწყვეტი განსაზღვრა და დიაგნოსტიკა ითხოვენ ვიბრაციული მახასიათებლების დეტალურ ცოდნას დროის ყოველ მონაკვეთში. მათი შესწავლა და ანალიზი მხოლოდ ექსპერიმენტალური გაზომვებითაა შესაძლებელი [20].

2.2. ჰიდროენერგოაგრეგატის ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ამოცანის დასმა და გადაწყვეტა

ობიექტის ყველა ტექნიკურ მდგომარეობას შეესაბამება დიაგნოსტიკური ნიშნის n - განზომილებიანი ვექტორი $\bar{A} = (A_1, A_2, \dots, A_n)$ ან ვიბროაკუსტიკური სიმპტომები, ეს სიმპტომები დევს გაზომვის შედეგად მიღებულ ვიბროაკუსტიკურ სიგნალში \bar{X} . გვაქვს შემდეგი ამოცანა - მათი (ჩვენთვის სასარგებლო სიგნალის) გამოყოფა ვიბროაკუსტიკური სიგნალიდან.

მათემატიკური კავშირი მექანიკურ სისტემაში სიმპტომებსა და გაზომვებს შორის შეიძლება დამყარდეს შემდეგნაირად:

$$A_i = f_i(\Delta_{r_1}, \Delta_{r_2}, \dots, \Delta_{r_m}), i = 1, 2, \dots, n.$$

სადაც, f_i - არის დიფერენციალური ან ალგებრული ოპერატორი. ეს კავშირი დიფერენციალური ფორმით იძლევა შესაძლებლობას მივიღოთ ჩვენთვის სასურველი ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის შედეგი მხოლოდ დაბალსიხშირულ დიაპაზონში (200 – 300 ჰც).

დღესდღეობით სრული ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკა ხდება ამოცნობის თეორიის საშუალებით:

1. ხდება დაშვება, რომ ტექნიკური ობიექტი იმყოფება ტექნიკური მდგომარეობის სასრულ სიმრავლეში- S . ტექნიკური მდგომარეობის ამ სიმრავლეში გამოყოფილია ორი ქვესიმრავლე S_1 და S_2 . S_1 - მუშაუნარიანი ტექნიკური მდგომარეობის ქვესიმრავლე და S_2 - არამუშაუნარიანი ტექნიკური მდგომარეობის ქვესიმრავლე.

ქვესიმრავლე S_1 გულისხმობს ყველა იმ მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც ობიექტი მუშაობს გამართულად. ქვესიმრავლე S_2 გულისხმობს ყველა იმ მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც ჩნდება დეფექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ობიექტის მუშაობის ხარისხზე. ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა დამოკიდებულია ობიექტის შიგნით არსებულ დეფექტებზე.

2. ტექნიკური ობიექტის დიაგნოსტიკა დაიყვანება S_1 სიმრავლის ან S_1 და S_2 ქვესიმრავლეების ანალიზზე. ობიექტის მუშაუნარიანობის განსაზღვრის დროს ხდება მისი შეფასება და ამ შეფასების შემდეგ მიაკუთვნებენ S_1 და S_2 ქვესიმრავლეებიდან ერთ-ერთს. შემდეგ ხდება მისი (ობიექტის) მდგომარეობის დეტალური შეფასება და შესაძლებელია გადაინაცვლოს ერთი ქვესიმრავლიდან მეორეში.

3. დეფექტის ჩასახვა აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ ობიექტი არამუშაუნარიანია. დეფექტი შესაძლოა არსებობდეს მუშაუნარიან ობიექტზეც. დეფექტის ჩასახვის შედეგად იმ შემთხვევაში თუ დეფექტი მასშტაბურია ობიექტი მხოლოდ ინაცვლებს ერთი მდგომარეობიდან მეორეში. ასე, რომ მუშაუნარიან ობიექტს შესაძლოა ჰქონდეს დეფექტი ისე, როგორც არა მუშაუნარიან ობიექტს, მთავარია დეფექტის შეფასების შემდეგ მან არ გადაინაცვლოს პირველიდან მეორე ქვესიმრავლეში.

რეალური პროცესების დროს ყოველთვის ითვალისწინებენ ობიექტის პარამეტრების მცირე გადაცდომას დასაშვები მნიშვნელობიდან და გაზომვის ცდომილებას. აქვე

შემოგვაქვს ეტალონური მნიშვნელობის ცნება. ეტალონად მიიჩნევა ისეთი მანქანა, რომლის მუშაობის პარამეტრები ზუსტად შეესაბამება ქარხანა-დამამზადებლის მიერ მინიჭებულ პარამეტრებს [14].

ტექნიკური ობიექტის მდგომარეობის შეფასება ხდება მასზე დაკისრებული ფუნქციების წარმატებულად შესრულების მიხედვით, რასაც ფუნქციონალური დიაგნოსტიკა ეწოდება, ან ობიექტზე სპეციალური გარე ზემოქმედების და ამ ზემოქმედების შედეგად განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვების მიხედვით, რასაც ტესტური დიაგნოსტიკა ეწოდება.

ფუნქციონალური დიაგნოსტიკის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მისი რეალიზაციის პროცესში არ არის საჭირო სპეციალური გენერატორები და სხვადასხვა დანადგარები. დიაგნოსტიკაში იგულისხმება, როგორც მიღებული ინფორმაციის დამუშავება, ასევე იმ წერტილების შერჩევა, საიდანაც უნდა მოხდეს ვიბროაკუსტიკური სიგნალის აღება.

გარდა მუშა პროცესში მყოფი დეტალებისა, ხდება წარმოების პროცესში მყოფი ობიექტის დიაგნოსტიკა. ობიექტის დიაგნოსტიკის ძირითადი მიზანი წარმოების პროცესში არის დეტალების დამზადების ხარისხის კონტროლი და მათი მონტაჟი. სერიული წარმოების ძირითადი დეფექტები არის, როგორც წარმოების პროცესში დაშვებული შეცდომები, ასევე აწყობა-მონტაჟის დროს დაშვებული ხარვეზები.

ნებისმიერი სახის მექანიზმისა და მანქანის დანიშნულება არის ერთი სახის ენერჯის მეორე სახის ენერჯიად გარდაქმნა, მანქანის ოპტიმალური მუშაობისათვის აუცილებელია მარგი ქმედების კოეფიციენტი აღწევდეს მაქსიმუმს. ამისათვის მანქანის თბური, ვიბრო, აკუსტიკური და სხვა დანაკარგები უნდა აღწევდეს მინიმუმს. ამიტომ ვიბროაქტივობის დონის გაუმჯობესება არის მისი ტექნიკური მდგომარეობის ერთერთი ძირითადი მაჩვენებელი.

2.3. ჰიდრო ენერგოაგრეგატების ტექნიკური მდგომარეობის ამოცნობის ალგორითმის აღწერა

როგორც ცნობილია, მანქანის აწყობისა და მონტაჟის შემდეგ მისი მართვა ხდება სპეციალური სტენდების საშუალებით, რომელზეც აისახება ძირითადი მონაცემები და ინფორმაცია მიმდინარე ექსპლუატაციის პროცესში. შემუშავებული ალგორითმის მიხედვით დიაგნოსტიკისათვის საჭირო ინფორმაცია ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელებისა და სპექტრის ანალიზატორების დახმარებით შედის კომპიუტერში, შემდეგ ხდება ამ ინფორმაციის დამუშავება და შედარება ეტალონურ ინფორმაციასთან, ხოლო ამოცნობის ალგორითმის საშუალებით ხდება ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება.

ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის პროცედურა დაყოფილია სამ ნაწილად:

პირველ ეტაპზე წყდება ზოგადი ამოცანა ვარგისია თუ არა დანადგარი. აქედან გამომდინარე ტექნიკური მდგომარეობა მიეკუთვნება S_1 ან S_2 ქვესიმრავლეს. მათემატიკურად ეს პროცესი აისახება შემდეგნაირად:

$$\text{თუ } \bar{X} \leq \bar{X}^{\exists} + \bar{\delta} \text{ ვარგისია}$$

$$\text{თუ } \bar{X} > \bar{X}^{\exists} + \bar{\delta} \text{ უვარგისია}$$

სადაც \bar{X} არის გამომავალი გასაზომი პარამეტრის ვექტორი, \bar{X}^{\exists} არის ეტალონური პარამეტრების შესაბამისი ვექტორი, $\bar{\delta}$ არის დასაშვები გადახრა ეტალონური მნიშვნელობიდან. თუ ერთი პარამეტრიც კი გამოდის დასაშვები მნიშვნელობიდან ობიექტი ითვლება არამუშაუნარიანად „უვარგისია“ და ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა გადაინაცვლებს S_2 ქვესიმრავლეში.

მეორე ეტაპზე ხდება ტექნიკური მდგომარეობის ანალიზი. ამ ეტაპზე ხდება ახალი მუშაუნარიანობის კოეფიციენტის შემოღება. ამისათვის $\bar{\delta}$ -თი განისაზღვრება თუ რომელ ზონაში იმყოფება დროის მოცემულ მომენტში არსებული მანქანის ტექნიკური მდგომარეობა. მუშაუნარიანობის კოეფიციენტი $\bar{C} = 0 \div 1$. რაც უფრო მაღალია მუშაუნარიანობა C უფრო ახლოსაა 1 თან. მათემატიკურად ეს შემდეგნაირად გამოისახება:

$$\bar{C} = 1 - \left| \frac{\bar{x} - \bar{x}^{\exists}}{\bar{\delta}} \right|$$

სადაც \bar{C} არის მუშაუნარიანობის კოეფიციენტი. თუ $\bar{C} = 0$ ობიექტი არ არის ვარგისი თუ $\bar{C} = 1$, მაშინ მისი მდგომარეობა ეტალონურია. თუ $0 \leq \bar{C} \leq 0,25$ ობიექტს გააჩნია ძალიან მაღალი მუშაუნარიანობის კოეფიციენტი, თუ $0,25 < \bar{C} \leq 0,5$ გვაქვს დაბალი მუშაუნარიანობის მაჩვენებელი თუ $0,5 < \bar{C} \leq 0,75$ -მაღალი მუშაუნარიანობის მაჩვენებელი, თუ $0,75 < \bar{C} \leq 1$ - ძალიან მაღალი მუშაუნარიანობის მაჩვენებელი.

მესამე ეტაპზე განისაზღვრება არსებული დეფექტების მიხედვით ტექნიკური მდგომარეობის რომელ კლასს მიეკუთვნება ობიექტი იმის მიხედვით, თუ რამდენად შორსაა მისი პარამეტრები ეტალონურთან. ეს ფორმულით შემდეგნაირად გამოისახება:

$$D_{ik} = \sum_{k=1}^n [\bar{A}_{ik} - A_k^{\exists}]$$

